

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტთან არსებულ ქართული თეატრისა და ქართული კინოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავების **წესი**.

მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

ქართული თეატრისა და ქართული კინოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები განისაზღვროს თითოეული 4 წევრის ოდენობით. აქედან, 1 ხელმძღვანელი და 3 წევრი.

ხელმძღვანელი (ორივე მიმართულებით) ინიშნება რექტორის ბრძანებით, სათანადო კანდიდატურის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტის საბჭოს წერილობითი წარდგინების საფუძველზე, 1 წლის ვადით.

დანარჩენი 3 წევრი (ორივე მიმართულებით), მეცნიერ-თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობას იკავებს ღია კონკურსის წესით.

კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
3. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
5. ერთი ფოტოსურათი 3X4 -ზე;
6. სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
7. ბოლო 5 წლის მანძილზე, აკრედიტებულ ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომთა ასლები;
8. შესაბამისი პროფილის მქონე, უკვე გამოცემული წიგნების (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.) სატიტულო გვერდისა და სარჩევის ასლები;
9. საქართველოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის (ქვეყნების) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ან სათანადო პროფილის მქონე ცენტრსა თუ ორგანიზაციაში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
10. პროფილური პრემიის ან ჯილდოს მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
11. მითითება იმ კომპიუტერული პროგრამისა, რომელსაც თავისუფლად ფლობს;
12. სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის ან კრებულის რედაქციასთან თანამშრომლობისა (რაიმე სახის თანამდებობა) ან მათ სარედაქციო კოლეგიაში წევრად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
13. პროფილური სამეცნიერო - კვლევითი ორგანიზაციის, ცენტრის ან საბჭოს წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქართული თეატრისა და ქართული კინოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად **სავალდებულოა:**

1. სათანადო პროფილის (თეატრმცოდნე, კინომცოდნე) უმაღლესი განათლების ქონა;
2. დოქტორის პროფილური აკადემიური ხარისხი;
3. სამეცნიერო-კვლევითი ან პედაგოგიური მუშაობის 5 წლის სტაჟი;
4. საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომის (ნაშრომთა) ხელმძღვანელობის, ოპონენტობის, ექსპერტობის, რეცენზენტობისა და სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომის (ნაშრომთა) რეცენზენტობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

დამატებითი მოთხოვნები:

1. სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან დაკავშირებით მიღებული გრანტის , სტიპენდიის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, პროფილურ სამეცნიერო კონფერენციებში, მომხსენებლის რანგში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (ან ასლი).

საკონკურსო კომისიას, რომელიც 3 წევრისგან შედგება, რექტორი აკომპლექტებს სათანადო ბრძანებით.

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება 2 წევრი;
2. საკონკურსო კომისია, კონკურსში მონაწილე კანდიდატთა თითოეულ ძირითად მონაცემს აფასებს დანართ №1 - ში მითითებული ქულებით;
3. თავდაპირველად განიხილება ძირითადი, სავალდებულო მონაცემები;
4. დამატებით მონაცემებს კომისია განიხილავს იმ შემთხვევაში თუ არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე მეტმა კონკურსანტმა დააგროვა თანაბარი ქულა;
5. დამატებითი მოთხოვნების თითოეული პუნქტი, კომისიის წევრთა მიერ ფასდება დანართ №1 - ში მითითებული ქულებით;
6. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ქულების საბოლოო შეჯამებით;
7. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მის შედეგებს რექტორი ამტკიცებს სათანადო ბრძანებით.

კონკურსის გამოსაცხადებლად: ფაკულტეტის საბჭო წერილობით (დეკანის ხელმოწერით) მიმართავს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც განიხილავს მას და რექტორის საბოლოო ბრძანებით ცხადდება საკონკურსო ვადები და პირობები.

1. აკადემიური საბჭო , რექტორის ბრძანების მეშვეობით, ქმნის 3 წევრიან სააპელაციო კომისიას;
2. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება 2 წევრი;
3. საკონკურსო კომისიის მსგავსად, სააპელაციო კომისია საკუთარ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით;
4. სააპელაციო კომისიაში კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში;
5. სააპელაციო კომისიის საბოლოო დასკვნის შემდეგ, კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6.

ორივე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (ქართული თეატრი და ქართული კინო) ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის

ფაკულტეტთან; ექვემდებარება ფაკულტეტის საბჭოს და ყოველკვარტალურად, ხელმძღვანელის სახით, ანგარიშით წარსდგება საბჭოს სხდომაზე; ზეპირი გამოსვლის გარდა, ხელმძღვანელი საბჭოს წარუდგენს წერილობით ანგარიშს; უპასუხებს საბჭოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ქართული თეატრისა და კინოს სამეცნიერო ცენტრები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ფაკულტეტის მითითებით. ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს საკვლევ თემების მიმართულებას, გამოჰყოფს პრიორიტეტებს. ცენტრების მუშაობამ, სათანადო ლიტერატურის შექმნით (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.), ხელი უნდა შეუწყოს უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შემდგომ განვითარებას. სწორედ ესაა მისი შექმნის მიზანი.

კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ: კანდიდატს, რომელსაც უკავია ერთ რომელიმე აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური თანამდებობა (სრული, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი), შეუძლია მიიღოს კონკურსში მონაწილეობა. სხვა ანალოგიური სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის, ორგანიზაციის, ჯგუფის წევრობის შემთხვევაში, მან კონკურსში მონაწილეობაზე წერილობითი თანხმობა უნდა მიიღოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორის მხრიდან. კონკურსში გამარჯვებულს, შრომითი ხელშეკრულება უფორმდება 1 წლის ვადით.

კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.